**საბა შოშიტაშვილი**
თსუ სტუდენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი
ასოციაცია ქართული ანალიტიკური სივრცე

# გალაკტიონის მელანქოლია

„როცაა ფსიქიატრიული კვლევის საგანი კაცობრიობის უდიდეს წარმომადგენელთა ცხოვრება ხდება... ის არ ესწრაფვის, „დაჩრდილოს სხივთა მფენელი და ამაღლებული“ და არც სრულყოფილებასა და ბანალური ობიექტურობის უბადრუკობას შორის მანძილის შემცირება ანიჭებს სიამოვნებას. მას ფასეულად მიაჩნია ყველაფერი, რაც, შეიძლება, მათი ცხოვრებიდან შეიცნოს და თვლის, რომ არავინ არის იმდენად დიდი, ვისაც იმ კანონების მორჩილება შეურაცხყოფდა, რომლებიც თანაბრად განაგებს ჯანმრთელობასაც და ავადმყოფობასაც.“ 1910 წელს დაწერილ ნაშრომში ფროიდი, ფსიქოანალიტიკური ტექნიკის გამოყენებით აანალიზებს და ვინჩის ცხოვრებას, რითიც აფუძნებს ფსიქოანალიტიკური კვლევის მიმართულებას, რომელსაც დღეს ფსიქობიოგრაფიის სახელით ვიცნობთ.

ფსიქობიოგრაფიულ კვლევაში, ძირითადად, ორ მიდგომას იყენებენ, პირველი მიზნად ისახავს სუბიექტის კვლევას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ხოლო, მეორე ინდივიდის ბიოგრაფიის ცენტრალურ მოვლენას იღებს ათვლის წერტილად და მის ირგვლივ აგებს კვლევას. ამ შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით მეორე მიდგომას და შევეცდებით გალაკტიონის სუიციდის აქტიდან გამომდინარე მოვახდინოთ პოეტის ფსიქიკური დინამიკის რეკონსტრუქცია.

მოხსენებას თავმდაბლური მიზნები ამოძრავებს და იმედოვნებს, რომ ხელს შეუწყობს გალაკტიონის ირგვლივ ფსიქოანალიტიკური ინტერესის გაღვივებას. ჩვენი მიზანია არა იმდენად დასკვნების გაკეთება, არამედ დისკურსიული ველის შექმნაა სამომავლო კვლევებისთვის.

## ბოლო დღე

1958 წელს გალაკტიონი სამკურნალო დაწესებულებაში ოთხჯერ მოხვდა, გარდაცვალების წელსაც პოეტი სამ კვირიან კურსს ასრულებს, თუმცა მალევე ბრუნდება სამკურნალო კომბინატის ნერვულ განყოფილებაში. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონის

ძმიშვილი, იხსენებს 17 მარტს და აღნიშნავს: გალაკტიონი დილით ისეთი აგრესიული აღარ არის, როგორიც აქამდე იყო. იგი ძმიშვილს ემორჩილება, რომელიც აცმევს პალტოს და გრძნობს, რომ გალაკტიონს ხელები უკანკალებს, ასეთ დროს გამოსავალი იყო ალკოჰოლის მიღება, მაგრამ იმ დღეს პოეტი გადაწყვეტს, არ დალიოს, იგი მთელი გზა ჩუმად არის (ბასილაძე, 2006). საინტერესოა ალკოჰოლის მიღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება, ვფიქრობთ ამ მომენტს საგულდაგულო ჩაღრმავება სჭირდება. ყველასთვის ცნობილია, რომ გალაკტიონის ცხოვრება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული სპირტიანი სასმელების მოხმარებასთან. თუ გავიხსენებთ „კულტურით უკმაყოფილებას“ გაგვახსენდება, რომ უკმაყოფილებისგან, ტანჯვისგან, ტკივილისგან თავის დაღწევის, ერთ-ერთი გზა ამ ფსიქიკური ტანჯვის ანესთეზირებაა ნივთიერებით (ფროიდი, 1930/2018). ალკოჰოლის მოხმარება, ტანჯვის ანესთეზირება, ემსახურება უგრძნობი მდგომარეობის მიღწევას. არაფერია ისეთი მგრძნობიარე, როგორიც ცოცხალი და არაფერია ისეთი უგრძნობი, როგორიც მკვდარი. აქ უნდა გავიხსენოთ ფროიდის „სიამოვნების პრინციპს მიღმა“, სადაც ავტორი გვესაუბრება ორ ფუნდამენტურ ლტოლვით ტენდენციაზე ადამიანში. კერძოდ, თუ თავდაპირველ არაცოცხალ მატერიაში შეიჭრა ვიტალური ენერგია, მაშინ უნდა გაჩენილიყო ორი საპირისპირო ტენდენცია: პირველი – სიცოცხლის გაგრძელების, თვითშენახვის ნარცისული თუ სექსუალური ლტოლვები; მეორე – პირველის საწინააღმდეგოდ პირველადი უსიცოცხლო მდგომარეობის აღდგენისკენ, თანატოსური, ლტოლვა (ფროიდი, 1920/2014). ამდენად ალკოჰოლის მოხმარება თანატოსური ლტოლვითი ტენდენციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მასზე უარის თქმა და სამკურნალო დაწესებულებაში დაწოლის გადაწყვეტილება თვითშენახვის ლტოლვის გამოვლინებად.

აქ ჩვენ ვაწყდებით თეორიულ პრობლემას – თუ გალაკტიონი სიცოცხლის ბოლო დღეს უარს ამბობს ჩვეულ კომპენსატორულ სტრატეგიაზე, თანხმდება ნოდარს ჰოსპიტალიზაციაზე, მაშინ რატომ იკლავს თავს ამ ყველაფრიდან რამდენიმე საათის შემდეგ? ცხადია ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ სწორედ იმ რამდენიმე საათში, რომელიც საავადმყოფოში დაწოლის გადაწყვეტილებასა და სუიციდს შორის არის მოქცეული. იქამდე კი აუცილებლად მიგვაჩნია გავცეთ პასუხი კითხვაზე, რომელიც კვლავ არ კარგავს აქტუალობას – გალაკტიონის ნაბიჯი იყო თუ არა თვითმკვლელობა?

ნოდარ ტაბიძე, უკანასკნელ წლებში გალაკტიონთან ცხოვრობდა, უკანასკნელ დღეებში მის გვერდით იყო. ნოდარი აანალიზებს რა პოეტის ბოლო ორი წლის დღიურებს, ბოლო დღეების გათვალისწინებით დაასკვნის: „ –ვერავინ დამარწმუნებს, რომ

მესამე სართულიდან გადმოხტომა შეგნებული აქტი იყო. –დიახ! ესა არ ყოფილა თვითმკვლელობა“ (ტაბიძე, 2011, გვ. 299). ვახტანგ ჯავახაძე გონივრულად შენიშნავს: „ვინც კი იმ დღეს იხილა, წინასწარ შეთანხმებულივით ყველა ნოდარის მოსაზრებას იზიარებს: ექიმები, ავადმყოფები, ნაცნობები...

– მშვიდ მგომარეობაში იყო...

– წყნარი, დამშვიდებული სახე ჰქონდა...

– თვითმკვლელობის შესახებ ფიქრიც არ შეიძლებოდა...

ვერავინ ვერაფერი შეატყო: ისევ და ისევ ჩვეულებრივი მოკვდავის ნორმებით აფასებდნენ...” (ტაბიძე, 2011, გვ. 303). ჯავახაძე აქვე ჩამოთვლის გალაკტიონის სუიციდის დამამტკიცებელ თორმეტ მიზეზს, რომელთა განხილვაც ჩვენი მიზანი არ არის. სანაცვლოდ ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ გალაქტიონის სუიციდის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომელთა უმრავლესობა ამბობს: მშვიდად გამოიყურებოდა და თავს არ მოიკლავდაო. სუიციდზე აღნიშნული მოსაზრება კლინიკაში სამწუხარო ტრივიალურობაა, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს: (1). სუიციდი ხშირად მელანქოლიური რეციდივის ამოწურვისას ხდება, როდესაც მოტორული შენელება მეტ-ნაკლებად მოხსნილია, მაგრამ ჯერ კიდევ ძალაში რჩება კოგნიტურ-აფექტური სიმპტომატიკა, ამდენად ადამიანი ფიზიკურად შეიძლება მხნედ გამოიყურებოდეს, თუმცა სუიციდს გეგმავდეს; (2). გალაკტიონის თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე მორიგე ექიმი, რომელიც გამოელაპარაკება, აღნიშნავს: „სულ ღიმილით მელაპარაკებოდა, თავაზიანად...“ (ტაბიძე, 2011, გვ. 307), ამავეს აღნიშნავენ სხვებიც, ნოდარის სიტყვებსაც თუ გავიხსენებთ გალაკტიონი ბოლო დღეს ისეთი აგრესიული არ იყო, როგორც სხვა დროს სჩვეოდა. ზრდილობიანობის, თავაზიანობის შესახებ გალაკტიონი დღიურში წერს: „ყველასთან ზრდილობიანი ვიყავი, რადგან ყველა მეზიზღებოდა გულში“ (ტაბიძე, 2011, გვ. 304). რასაც გალაკტიონის სიტყვებში ვხედავთ ფროიდი დესტრუქციული ტენდენციებისაგან ნაწარმოებ რეაქციის ფორმაციას უწოდებს. საქმე გვაქვს თანატოსურ ლტოლვასთან, რომელიც გარე სამყაროში, ობიექტზე მიმართვის პირობებში ვლინდება აგრესიად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სიკვდილის ლტოლვის გარეთ მიმართვა ვერ მოხდა, მაშინ ეს უკანასკნელი საკუთარ პირველად მიზანს ემორჩილება და ცდილობს ორგანული სიცოცხლის განადგურებას, რისი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაც არის სუიციდი (Freud, 1924/1961). ამდენად, სწორედ იმიტომ, რომ გალაკტიონი თავაზიანი იყო სიცოცხლის ბოლო საათებში, კი არ უარყოფს სუიციდს, არამედ, უფრო მეტიც, ამტკიცებს თვითმკვლელობის აქტს.

დავუბრუნდეთ საავადმყოფოში გატარებული საათების განხილვას, ეს დრო, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანია იმის ახსნისთვის თუ რატომ იკლავს გალაკტიონი თავს, მაინც და მაინც 17 მარტს, სამკურნალო კომბინატის ნერვულ განყოფილებაში. ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით, ათ საათზე პოეტი უკვე საავადმყოფოს ფოიეშია, აქ ის შეეჩეხება პირველ უგულვებელყოფას – ნერვულ განყოფილებაში არც თავისუფალი ოთახი და არც თავისუფალი საწოლი არ აღმოჩნდა (ბასილაძე, 2006). პირველი უგულვებელყოფა, ნარცისული ჭრილობა – გალაკტიონისთვის საავადმყოფოში ადგილი არ არის, ეს მისი მეგალომანიური ნარცისიზმისთვის კატასტროფული დარტყმა იქნებოდა.

დაახლოებით პირველ საათზე ორ საწოლიან პალატაში მესამე საწოლი დადგეს, ცხადია ოთახში განთავსებული სხვა ავადმყოფები ამ ფაქტს ყველაზე ლოიალურად არ შეხვედრიან (ბასილაძე, 2006). ექიმის თქმით პაციენტ ტაბიძეს განემარტა, რომ შეეძლო ოთახში შესვლა, მაგრამ არ შესულა, ვესტიბიულის სკამიდან დიდი ხანი არ დგებოდა. თვითმკვლელობამდე სამი საათით ადრე გალაკტიონი საავადმყოფოს დერეფანში ნერვიულად დადის და სიგარეტს ეწევა. დაახლოებით ექვსის ნახევარზე სკამს აიღებს და აივანზე გასვლას ცდის, თუმცა მედიცინის დის განმარტების შემდეგ – აივანი სველია და გასვლა არ ღირსო – უარს იტყვის (ბასილაძე, 2006). ჯავახაძის მოსაზრებით ეს შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ სუიციდის მცდელობად (ტაბიძე, 2011), ჩვენ ვითვალისწინებთ რა გარემოებას – გალაკტიონი ოთახში არ შედის, წყნარი საათია, ელოდება როდის დარჩება მარტო, იღებს სკამს და გადის აივანზე – გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ნამდვილად სუიციდის წარუმატებელი მცდელობა იყო. სუიციდის გეგმებს გალაკტიონის დღიურებში არც თუ იშვიათად ვხვდებით (გალაკტიონი, 2011). ესე იგი გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ მთელი ამ საათების განმავლობაში ის გეგმავდა სუიციდს, ელოდა ხელსაყრელ დროს და ასეთი მომენტი წყნარი საათის მიწურულს გამოჩნდა, ამ დროს გალაკტიონი სრული მიზანმიმართულობითა და აკურატულობით მიემართება სიკვდილისკენ – შედის განყოფილების გამგის ოთახში, რომელიც ცარიელია, ხურავს კარს, სკამს მიიტანს ორმაგ ფანჯარასთან, რომელსაც აღებს, ადის რაფაზე (ტაბიძე, 2011).

აქ მსჯელობაში კიდევ ერთხელ ვაწყდებით ნახსენებ თეორიულ პრობლემას, კერძოდ ჩვენი ვარაუდით გალაკტიონი 17 მარტს, დილით თვითშენახვის ლტოლვის მობილიზებას ახდენს, თანხმდება რა მკურნალობას, მაშინ საავადმყოფოში ყოფნისას, რატომ გეგმავს სუიციდს, ეკონომიკური ტერმინებით, რომ ვთქვათ რა გახდა აუტოდესტრუქციული ლტოლვის რეაქტუალიზაციის მიზეზი. ვფიქრობთ, რომ ამ

კითხვაზე პასუხი ერთ ცენტრალურ მიზეზთან მიგვიყვანს, ვგულისხმობთ იმ ნარცისულ ჭრილობას, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. ავადმყოფისთვის სამედიცინო დაწესებულება ყოვლისშემძლე პარენტალური ინსტანციაა – დიდი სხვის რეპრეზენტაცია – აღნიშნული მიმართება საკუთარ თავში გულისხმობს, ფუნდამენტური უმწეობის გამო, პაციენტის რეგრესიას ადრეულ გამოცდილებებზე. ამრიგად საავადმყოფოში მისული პაციენტი, რომელიც იტანჯება და რომელიც ტანჯვისგან ხსნას ელის დიდი სხვისგან, მშობლის რეპრეზენტაციისგან, ემბლემატურად განასახიერებს ურთიერთობას დედასა და ჩვილს შორის, რომელშიც ჩვილი აბსოლუტური უმწეობის გამო ტოტალურად დამოკიდებულია დიდ სხვაზე (ვანიე, ფსიქოანალიზის შესავალი, 2018). თუ გავიხსენებთ სიტუაციას ნერვულ განყოფილებაში დავინახავთ: ავადობისგან დაუძლურებული უმწეო გალაკტიონი მიმართავს საავადმყოფოს, ამ პარენტალურ ინსტანციას, და შეეჯახება უგულვებელყოფას, აღმოაჩენს რა, რომ მისთვის ადგილი არ არის, რომ ის ზედმეტია. როდესაც ზედმეტი ხარ ისე არ გაქვს ადგილი სოციუმში, მაშასადამე სიცოცხლეში, როგორც ორ საწოლიან პალატაში მესამე საწოლი არ არის ადგილი. გალაკტიონი თითქოს მიტოვებულია პარენტალური ინსტანციის მიერ. მართალია, გალაკტიონი 1959 წელს ჩვილი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ სტრუქტურული თვალსაზრისით მიმართებები – უმწეო ჩვილი-გალაკტიონი, ყოვლისშემძლე ობიექტი-საავადმყოფო – არსებითად იგივურია, ამდენად გალაკტიონისთვის აღნიშნული ეპიზოდი შეიძლება პროექსიზმული ყოფილიყო და მოეხდინა სუიციდის პროვოცირება.

## ვარდისფერი გზა

დაკვირვებული მსმენელი, სრულიად სამართლიანად შენიშნავს და იტყვის: ბევრ ადამიანს ქონია მსგავსი უგულვებელყოფის გამოცდილება, მაგრამ მათ უმრავლესობას თავი არ მოუკლავთო. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 17 მარტის ტრაგედია მხოლოდ და მხოლოდ პროექსიზმული მომენტი იყო, რომელიც თავის მხრივ დეტერმინირებულია უფრო ადრეული გამოცდილებებით. ბიოგრაფიის შესწავლა გვიბიძგებს ვაღიაროთ, რომ გალაკტიონის პიროვნება მელანქოლიური ბუნებისაა და სუიციდიც სწორედ ამ მელანქოლიურობასთანაა დაკავშირებული. პოეტი დღიურებში, პირად წერილებში, ლექსებში ხშირად უჩივის „მელანხოლიას“

ამ კუთხით საინტერესოა, მართლაც ნიშანდობლივი, 1932 წლის 31 დეკემბრის დღიურის ჩანაწერი, სადაც გალაკტიონი აჯამებს გასულ წელს და აღწერს მანიაკალური მდგომარეობებისთვის დამახასიათებელ განმუხრუჭებულ და გაუფრთხილებელ ქცევას,

რისხვიანი ეპიზოდებით, ხოლო შემგომ მელანქოლიისთვის დამახასიათებელ დაქვეითებულ გუნება-განწყობასა და თანმხლებ სუიციდურ აზრებს (გალაკტიონი, 2011). ამდენად, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი პერიოდულად მელანქოლიზაციისგან დაცვის სახით ავითარებს მანიაკალურ მდგომარეობას, რაც ერთგვარ ციკლოთიმიურ წრეს კარავს. ეჭვი გალაკტიონის „ბიპოლარული“ აშლილობის შესახებ ახალი არა არის, მაგრამ, თავისთავად, „დიაგნოზის დასმა“ ჩვენი მიზანი არაა და არაფრის მომცემიც იქნებოდა თუ ბიოგრაფიის კვალდაკვალ თვალი არ მივადევნეთ ეტიოლოგიას.

თუ გავიხსენებთ ფროიდის ფსიქოპათოლოგიის თეორიას აღმოვაჩენთ, რომ პათოლოგიის ჩამოყალიბება ფიქსაცია-რეგრესიის ავტომატიზმით ფუნქციონირებს და მინიმუმ ორ დროიან წარმონაქმნს საჭიროებს – ერთს ადრეული ბავშვობიდან, ხოლო მეორეს მოზარდობა-მოზრდილობის პერიოდიდან (ფროიდი, 1917/2023). ფროიდი თავის „გლოვა და მელანქოლიაში“ გვთავაზობს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ფსიქოგენური მელანქოლიური დეპრესია დაკავშირებულია ობიექტის დაკარგვის პათოლოგიზაციასთან, რომელშიც სუბიექტი ვერ ახერხებს ობიექტისადმი ამბივალენტური ფსიქო-აფექტური ინვესტიციების დათმობას. ასეთ პირობებში ობიექტი ინკორპორირდება ეგოში, ხოლო ობიექტისადმი გაუცნობიერებელი დესტრუქციული ტენდენციები მიემართება ეგოს, როგორც ობიექტს. ამგვარად სუბიექტი მაზოხისტურად პოზიციონირებს, განმსჭვალულია ბრალის განცდითა და თვითდასჯის მოთხოვნილებით. თუ ასეთმა პიროვნებამ კლინიკური გამოსავალი ვერ მონახა, მაშინ სუბიექტი ობიექტის განადგურების ყველაზე არქაულ ფორმას მიმართავს — ინადგურებს თავს, მაშასადამე, ანადგურებს ობიექტს (Freud, 1917/2005). ამდენად თუ ჩვენ გვსურს სრულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გავიგოთ გალაკტიონის სუიციდი, მაშინ აუცილებელია შევისწავლოთ მისი მთელი ბიოგრაფია, დანაკარგის ყველა გამოცდილება, ჯერ კიდევ იმ მომენტიდან სანამ დაიბადებოდა. სამწუხაროდ ამგვარი გლობალური მიზანი ჩვენს შესაძლებლობებს სცდება, ამდენად შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხებზე და გვერდი ავუაროთ თემებს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ქვემოთ განხილულნი.

გალაკტიონის ადრეული ბავშვობა გარდაცვალებასთან მჭიდრო კავშირშია, მის დაბადებამდე მამა, ვასილი ავადმყოფობისგან გარდაიცვალა (გალაკტიონი, 2011). მამის გარდაცვალებამ მის ფსიქიკაზე ღრმა ნაკვალევი დატოვა, რაც მის პოეზიაში ნათლად გამოვლინდა, ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა 1916 წლის ლექსი „ჭიანურები“:

„ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას,
დაღვრის შეშლილი ცრემლებს,
მოგონებათა გამმას.
ხშირად ვიგონებ პარიზს...
ნახე იგი და დაგმე!
ნისლის, სულის და ქარის -
ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე!“

პირველ რიგში, აღვნიშნოთ ის რაც აშკარაა, ლექსში ვერლენი რეპრეზენტირებს მამას, რომელიც დაკარგული, გარდაცვლილია. როგორც ვიცით, ვერლენი ფრანგი პოეტია, შესაბამისად პარიზი მამულის რეპრეზენტაციაა, მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ გვეუბნება ავტორი, რომ პარიზი უნდა დაიგმოს? სავარაუდოდ გალაკტიონი ამბივალენტურად არის განწყობილი პარიზი-მამულის, პატერნალური რეპრეზენტაციის მიმართ. უფრო საინტერესოა ლექსის ბოლო სიტყვები. ფროიდის მიხედვით ყველა სიმპტომის მიღმა დგას ფანტაზმი, რომლითაც თავს ავლენს ლტოლვა (ფროიდი, 1917/2023). მაშინ რა ფანტაზმი იმალება ლაკმეს მიღმა? როგორც ვიცით ლაკმე არის ოპერა, რომელიც გვიამბობს ჟერალდისა და ლაკმეს ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაზე, ოპერის ბოლოს ლაკმე თავს იწამლავს და ჟერარდის ხელებში კვდება, ლაკმე კვდება, როგორც გალაკტიონის მამა, და ჟერალდიც და გალაკტიონიც მარტო რჩებიან ამ სამყაროში მიტოვებულები. ფანტაზმი, რომელსაც აქ ვხედავთ არის მიტოვებულობის ფანტაზმი (Abandonment pantasy), სადაც სუბიექტი მიტოვებულია სიყვარულის ობიექტის (ამ შემთხვევაში მამის) მიერ, მიტოვება ნიშნავს, რომ სუბიექტი აღარ არის ინვესტირებული ობიექტის მიერ, რომ სუბიექტი უგულვებელყოფილია, როგორც 17 მარტს გალაკტიონი უგულვებელყოფილი იქნება ჯანდაცვის ინსტიტუციის მიერ.

საინტერესოა თუ რას შეიძლებოდა ამოევსო დაკარგული პატერნალური ობიექტის ადგილი გალაკტიონისთვის? პოეტი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში საკუთარ დიდებულ წარმომავლობაზე საუბრობს, რომ მწიგნობრებისა და აფხაზთა მეფეების შთამომავალია, რომ სოლომონ II-მ მის წინაპრებს „მეფის ჭალა“ უბოძა, რომლის მემკვიდრეც თავადაა, რომ მამა დაბადებამდე გარდაიცვალა (გალაკტიონი, 2011). საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერებში აღნიშნული თემები ხშირად მეორდება, თითქოს გალაკტიონი საკუთარი წარმომავლობის შესახებ მითის კონსტრუირებით, საკუთარი პერსონის ჰიპერტროფირებითა და მეგალომანიური კომპონენტის გამოკვეთით რაღაცის

კომპენსირებას ცდილობს, კერძოდ, რეალური მამის დანაკარგის კომპენსირებას, რომლის ადგილსაც იკავებს ფანტაზმი დიდებული მწიგნობარი წინაპრის შესახებ, რომელთანაც გალაკტიონი იდენტიფიცირდება, სხვანაირად, რომ ვთქვათ სწორედ წინაპრის ეს ფანტაზმი ასრულებს იმ ობიექტის როლს, რომლის ჩრდილიც, ფროიდის მიხედვით, ეცემა ეგოს. ამრიგად გალაკტიონის ეგო მთლიანად შთანთქმული ხდება ამ დაკარგული ობიექტით, რომლსაც თავს ატყდება გალაკტიონის მელანქოლიაგენური სუპერ-ეგო, მთელი თავისი სადისტური სიმკაცრით და მთლიანად შთანთქავს გალაკტიონში ყველაფერს გარდა პოეტობისა, რაზეც კარგად მეტყველებს პასაჟი დღიურიდან: „—მე ხომ სრულიად ლაპარაკი არ ვიცი. —მე იმდენად არ ვიცი ლაპარაკი, რომ კაცს ხშირად ვერ ვაგებინებ. —ეს ფუსფუსი პატარ-პატარა ხალხის ჩემთვის სრულიად გაუგებარია“ (ტაბიძე, 2011). საინტერესოა, რომ არა ეს ფანტაზმი გალაკტიონი გახდებოდა თუ არა მწერალი, თუ მისი გენია სხვა არხს მოძებნიდა დინებისთვის.

გარდაცვალება ყოველთვის დაკავშირებულია გლოვის პროცესთან, ამიტომ სავარაუდოა, რომ მამის გარდაცვალება გალაკტიონისთვის ნიშნავდა არა მხოლოდ პატერნალური ფიგურის დაკარგვას, არამედ ობიექტ-ურთიერთობის დარღვევასაც მატერნალურ ფიგურასთან. აქ უნდა გავიხსენოთ გალაკტიონის მოგონება, რომელიც 1950 წლის 8 ოქტომბერს არის ჩაწერილი – ღამეა, დედა ჩონგურზე დაამღერებს „ჩემი ქმარი სად წავიდა? დაუძახეთ, სად წავიდა!“ გალაკტიონი მონუსხული უსმენს დედას და ამბობს „რა არის ეს? გადასარევია, დედა!“ პასუხად კი იღებს „და-უ-უ-ძახეთ სად წა-ვიდა?“. მალე დედა ჩონგურს გადადებს, ჩამოთვლის შემდეგი დღის საქმეებს და დასძენს „რა გვეშველება, რა გვეშველება, სიმინდი მოსატეხია, ჩალა ასაჩეხია, დავიძინოთ, დავიძინოთ ჩემო გატუნია!“. რასაც ამ მოგონებაში ვაკვირდებით არის მგლოვიარე ადამიანის მიერ გარე სამყაროს გაუფასურება, მაკრინე გლოვობს ქმარს და ამ გლოვის გარდა სხვა ყველაფერი კარგავს ფასს, მათ შორის გალაკტიონი, რომელიც აღფრთოვანებული მიმართავს დედას, მაგრამ პასუხად იღებს მგლოვიარე სიმღერას, რომლის დასრულების შემდეგაც თავს იჩენს ერთგვარი მანიაკალური დაცვა – ხვალ ბევრი საქმე გვაქვს – და მოწოდება დაძინებაზე, ჰიპნოსზე, თანატოსზე... (გალაკტიონი, 2011, გვ. 57-58). მსგავსად 1959 წლისა, ამ მოგონებაშიც გალაკტიონის დისკურსი მიმართულია დიდი სხვისადმი, მაგრამ დიდი სხვა დუმს, ან ერთადერთი რაც მისგან ისმის მელანქოლური ღიღინია, “ვწუხვარ ვეძახი სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს“. გალაკტიონი მოგონებებში აღწერს დედის მონათხრობს ვასილის შესახებ, სადაც დედა მეუღლეს ადარებს გალაკტიონის ძმას, და შემდგენ დასძენს: „—საწყალი ძალიან ჩამოგავდა

აბესალომს სახით... მაღალი არ იყო მხოლოდ, არც აბესალომივით, არც შენსავით“ (გალაკტიონი, 2011). ამ სიტყვების ქვეტექსტი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამბობს – შენი ძმა გავს მამას, მაგრამ შენ მას არაფრით გავხარ, შენ მის ჩასანაცვლებლად არ გამოდგები. თავის მხრივ ეს სიტყვები ნიშნავს უგულვებელყოფას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გალაკტიონი სასურველი არ არის და როდესაც არ ხარ სასურველი, მაშინ არც შენში იბადება სურვილი, პირველ რიგში, სიცოცხლის სურვილი. ამგვარად შენი ადგილი არსად არ არის, როგორც არ არის ადგილი ორ საწოლიან ოთახში მესამე საწოლი.

მელანი კლაინის ობიექტ-ურთიერთობის თეორია გვესაუბრება პარანოიდულ-შიზოიდური პოზიციის შესახებ, სადაც ჩვილი პერსეკუტორული შფოთვისგან დასაცავად პრიმორდიალურ ობიექტს ხლეჩს კარგ და ცუდ ნაწილებად. ცუდ ნაწილზე ჩვილი ახდენს დესტრუქციული ფანტაზმებისა და ლტოლვითი ტენდენციების პროექციას, რაც ობიექტს კიდევ ურო სასტიკ პერსეკუტორად აქცევს, ხოლო ამის საპირისპიროდ ახდენს კარგი ობიექტის იდეალიზაციას. სიცოცხლის მესამე-მეოთხე თვეში ეგოს მზარდი ინტეგრაციის ფონზე ჩვილი იწყებს ობიექტის კარგი და ცუდი ასპექტების ინტეგრაციას და აცნობიერებს, რომ ცუდი ობიექტი ასეთი გახდა საკუთარი დესტრუქციული იმპულსების გამო, რაც დეპრესიულ შფოთვას – ბრალის გრძნობას – წაახალისებს, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ ჩვილი მხარდაჭერილი იყოს მოსიყვარულე პარენტალური გარემოთი, ვინაიდან ადრეული ეგოსა და სუპერ-ეგოს ბირთვი, კლაინის მიხედვით, პროექციებისა და იდენტიფიკაციების რეციპროკაციით, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება (klein, 1957/1997). თუ ვივარაუდებთ, რომ გალაკტიონის დედის ობიექტ-ურთიერთობა შვილის მიმართ დარღვეული იყო გლოვის პროცესით, მაშინ შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ გალაკტიონმა ჩვილობაში განიცადა კარგი ობიექტის დეპრივაცია, სიამოვნების სტაბილურ, განმეორებად გამოცდილებებს სჭარბობდა უკმაყოფილებისა და უსიამოვნების განცდები, რასაც ჩვილის ფსიქიკა უპასუხებდა ცუდი ობიექტის დემონიზაციით, ვინაიდან უსიამოვნება იწვევს დესტრუქციული ეკონომიკის აქტივაციას, რომლისგანაც ჩვილი თავს იცავს პროექციით. შესაბამისად, რაც უფრო ინტენსიური იქნებოდა დესტრუქციული ფანტაზმების პროექცია პარანოიდულ-შიზოიდურ პოზიციაზე, მით ურო ძლიერი იქნებოდა ბრალის განცდა დეპრესიულ პოზიციაში, შედეგად კი გალაკტიონის ადრეული სუპერ-ეგო ფუნდამენტურად მელანქოლიაგენური და სასტიკი იქნებოდა. ასეთი სუპერ-ეგო გალაკტიონის წინაშე აყენებს იმპერატივს, რომ მან თავი უნდა მოიკლას, რომ ის სიცოცხლის ღირსი არ არის, რომ სამყარო სასტიკი და

პირქუში ადგილია, რომ „ჯვარს ეცვი! თუ გინდა საშველი არ არის, არ არის, არ არის...“[1], რომ „ჩემს სამშობლოში მე მოვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები...“[2]. გალაკტიონის დღიურებსა და პოეზიაში ბევრჯერ ვხვდებით მსგავსი შინაარსის ჩანაწერებს, რაც გვიმტკიცებს ჰიპოთეზას ადრეული ობიექტ-ურთიერთობის შეფერხების შესახებ.

როგორც ფროიდი ამბობს სიმპტომის ჩამოყალიბება ორ დროიანი წარმონაქმნია, პირველზე ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ და ახლა დროა მცირედით შევეხოთ მეორე დროსაც, ანუ ცხოვრებას გენიტალური სტადიიდან, პუბერტატიდან. სასულიერო სემინარიის თორმეტი წლის მოსწავლე გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე, დალევს კარბონის მჟავას, რადგან საღვთო რჯულის გამოცდას ვერ ჩააბარებს. იმ დროს სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩება. ჩვენთვის ცნობილი წყაროები სუიციდის უფრო ადრეულ მცდელობას არ ადასტურებენ, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ რეგრესიის ავტომატიზმი სწორედ ამ დროს მოვიდა მოქმედებაში. და მაინც, რა არის ასეთი განსაკუთრებული გამოცდაზე ჩაჭრაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სიტუაცია სტრუქტურულად უნდა დავშალოთ, სასულიერო სემინარია ინსტიტუციაა, რომელიც პარენტალურ ინსტანციას რეპრეზენტირებს, გამოცდაზე ჩაჭრა კი არის რაღაც რის მერეც შენი ადგილი სემინარიაში აღარ არის, სხვაგვარად, რომ ვთქვათ აღნიშნული მომენტი არის მშობლების მხრიდან უგულვებელყოფის რეპეტიცია, ამდენად ეს ეპიზოდი ყველაზე რელევანტურია რეგრესიისთვის.

ახლა კი შეჯამებისთვის შევეცდებით ზემოთ ნათქვამი კონცენტრირებულად გადმოვცეთ აბრაჰამის მიერ შემოთავაზებული მელანქოლიის ეტიოლოგიის კრიტერიუმების მიხედვით: (1). კონსტიტუციური ფაქტორი; (2) ლიბიდოს ფიქსაცია ორალურ სტადიაზე; (3). ნარცისული ჭრილობა; (4). პირველი მნიშვნელოვანი იმედგაცრუება სიყვარულში, ოიდიპალური სურვილების დაძლევამდე; (5). პირველადი იმედგაცრუების რეპეტიცია მოგვიანებით ცხოვრებაში (Abraham, 1924/1988). (1). ჩვენი მოკვლევა ორალური ეროტიზმის კონსტიტუციური ფაქტორის გამოძიებას მოკლებულია, ვინაიდან ამისთვის ოჯახის ისტორიის შესწავლა იქნებოდა აუცილებელი, ამიტომ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ ამგვარი ფაქტორის არსებობის შესახებ. (2). არ გვაქვს არც ლიბიდოს ორალურ სტადიაზე ფიქსაციის დამამტკიცებელი პირდაპირი არგუმენტი, ამისთვის გალაკტიონის დედასთან გასაუბრება იქნებოდა საჭირო, თუმცა თუ

[1] “შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ 1917 წ.
[2] „თოვლი“ 1916 წ.

გავითვალისწინებთ ჩვენ საფუძვლიან ეჭვს ობიექტ-ურთიერთობის გლოვის პროცესით დაზიანების შესახებ, ალკოჰოლზე დამოკიდებულებასა და მელანქოლიური ეპიზოდების არსებობის დამამტკიცებელ ფაქტებს, მაშინ ეს ყოველივე დაგვიმტკიცებს ამგვარ ფიქსაციაზე ეჭვს. (3) აბრაჰამი ამბობს: მელანქოლიის ჩამოყალიბებისთვის არ არის საკმარისი ისეთი სასიყვარულო ფრუსტრაცია, როგორც ნევროზში გვხვდება, არამედ მელანქოლიის პირველ შეტევებს იწვევს ბავშვის მიერ დედის მოხმობა, რომელიც ფრუსტრაციით სრულდება, გარდა ამისა, ბავშვის მცდელობა - მოუხმოს მამას, ასევე ფრუსტრაციით სრულდება. ამგვარად, ბავშვი სრულიად მიტოვებულის პოზიციაში აღმოჩნდება (Abraham, 1924/1988), სწორედ ესაა გულის ის მწუხარე მორევი, რომელსაც გული ვერ მორევია. აღნიშნული ორმაგი უარყოფა და მიტოვებულობა მკაფიოდ გამოკვეთა ჩვენმა გამოძიებამ. (4). გამოკვლევამ სპეციალურად აუარა გვერდი ოიდიპოსის კომპლექსს, ვინაიდან სუიციდი გაცილებით არქაული აქტია ვიდრე ოიდიპოსი, ამდენად ამ პუნქტში რაიმეს დაბეჯითებით თქმა გაგვიჭირდება, თუმცა თუ გავიხსენებთ იმ, მოსაზრებას რომლის მიხედვითაც გალაკტიონი დედის მიერ უგულვებელყოფილია, სხვანაირად რომ ვთქვათ, გალაკტიონი დედისთვის ვერ აკომპენსირებს ქმრის დანაკარგს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონის ოიდიპოსიც ობიექტისგან უგულვებელყოფით არის დაღდასმული. (5). გამომდინარე იქიდან, რომ გალაკტიონის სუიციდის მცდელობა და მისი მიზეზი დოკუმენტირებულია, ვინაიდან ის მოგვიანო ცხოვრებას განეკუთვნება, შესაბამისად ამ პუნქტში ყველაზე ძლიერი არგუმენტი გვაქვს, პირდაპირი ფაქტის სახით, სადაც სემინარიისგან უგულვებელყოფილი გალაკტიონი თავს იწამლავს.

## შეჯამება

წინამდებარე მოხსენებაში დეტალურად განვიხილეთ გალაკტიონის ცხოვრების ბოლო დღე და გავყევით მის ცხოვრების ადრეული პერიოდისკენ. რა საკვირველია ეს მსჯელობა ვერ ჩაითვლება დასრულებულად, ის მხოლოდ გვაძლევს ბუნდოვან კონტურებს გალაკტიონის იდუმალებით მოცული ფიგურის შესახებ. გამოკვლევა ყურადღების მიღმა შეგნებულად ტოვებს ბევრ მნიშვნელოვან ხაზს გალაკტიონის ცხოვრებიდან. ასეთ პირობებში გვრჩება მხოლოდ ის, რომ მომავალი კვლევები შედარებით მეტს გვეტყვის პოეტის ბურუსით მოცული პერსონის შესახებ.

## ბიბლიოგრაფია


Abraham, K. (1924/1988). A short study of the development of the libido, viewed in the light of mental disorders. K. Abraham-ში, *selected papers on psychoanalysis* (გვ. 418-503). LONDON: MARESFIELD LIBRARY.

Freud, S. (1924/1961). *The economic problem of masochism.* London: The hogarth press.

Freud, S. (1917/2005). Mourning and Melancholia. S. Freud-ში, *On Murder, Mourning and Melancholia* (გვ. 342-366). London: Penguin Books.

klein, M. (1957/1997). Envy and gratitude. M. Klein-ში, *Envy and gratitude and other Works 1946-1963* (გვ. 176--236). London: Vintage.

ბასილაძე, მ. (რეჟისორი). (2006). *საუკუნის პორტრეტები – გალაკტიონი* [მოძრავი სურათი].

გალაკტიონი. (2011). *გალაკტიონ ტაბიძე პროზა 4 ტომი.* თბილისი: პალიტრა L.

ელბაქიძე, ბ. (რეჟისორი). (2009). *ჟურნალისტის დღიურები* [მოძრავი სურათი].

ვანიე, ა. (2018). *ფსიქოანალიზის შესავალი.* თბილისი: დიოგენე.

ვანიე, ა. (2023). ნაგულისხმები სუბიექტი. ს. მორგენსტერნი, ფ. დოლტო, მ. მანონი, კ. ბუკოვზა, კ. სალადენ, კ. ვანიე, და სხვ.-ში, *ბავშვთა ფსიქოანალიზი ფრანგული სკოლა* (გვ. 387-411). თბილისი: აზროვნების აკადემია.

*ნაწარმოებები - ლექსები.* (თ. გ.). დაბრუნებული galaktioni: https://galaktion.ge/?page=Poetry-დან

ტაბიძე, გ. (2011). *გალაკტიონ ტაბიძე წერილები 5 ტომი.* თბილისი: პალიტრა L.

ფროიდი, ზ. (1917/2023). *ფსიქოანალიზის შესავალი.* თბილისი: აქტი.

ფროიდი, ზ. (1920/2014). სიამოვნების პრინციპის მიღმა. ზ. ფროიდი-ში, *ფსიქოლოგიური თხულებები* (გვ. 137-205). თბილისი: პეგა.

ფროიდი, ზ. (1930/2018). კულტურით უკმაყოფილება. ზ. ფროიდი-ში, *რჩეული შრომები* (გვ. 249-337). თბილისი: დიოგენე.